

სტიქიამ ბაღდათი მილიონ ლარამდე აზარალა

ჯერ იყო და, შარშან ნოემბერში შემოუტია სტიქიამ ბაღდათის მუნიციპალიტეტს და აგერ ახლახან, ზაფხულის ხვდის მომლოდინე ბაღდათელებს ივლისის თაკარა მზის ნაცვლად, ბუნებამ კვლავ თავსხმა წვიმა მოუვლინა. გადაუღებელმა, მრავალდღიანმა უხვმა ნალექმა გვარიანად აზარალა მუნიციპალიტეტის სოფლები. რაიონის გამგეობასა და შესაბამის სამსახურებს საგანგებო რეჟიმში მოუწიათ მუშაობა, შეიქმნა სტიქიის შედეგად მიყენებული ზარალის შემსწავლელი კომისია, რომლის 6 და 10 ივლისს გამართულ სხდომებზე შემდეგი სურათი გამოიკვეთა.



სოფელი ნითელხევი – ლილუაშვილების უბანში ადიდებულმა მდინარე კორისწყალმა წაიღო სავალი გზის ნაწილი – საჭიროა 30 მ. სიგრძის გაბიონის მოწყობა; კალაპოტიდან გადმოსულმა მდინარემ კოტორეიშვილების უბანში დატბორა მიმდებარე ტერიტორია – მოსაწყობია 30 მ. სიგრძის გაბიონი; ვერულაშვილების სახლთან მოვარდნილმა ღვარცოფმა დატბორა მიმდებარე ტერიტორია – ჩასატარებელია ნაპირსამაგრი სამუშაოები; მწყობრიდან გამოვიდა მეორე ნითელხეთან დამაკავშირებელი ხიდის მარჯვენა ბურჯი – ესაჭიროება კაპიტალური შეკეთება; ქალის უბანში ადიდებულმა მდინარემ მთლიანად დატბორა გრძელიძეების სახლი და ეზო – მოსაწყობია 90 მ. სიგრძის გაბიონი; დაჩების დასახლებაში მწყობრიდან გამოვიდა ხიდ-ბოგირი; დაზიანდა შიდა საუბნო გზების უდიდესი ნაწილი.

სოფელი როხი – განადგურებულია მდინარე კორისწყალზე არსებული ბონდის ხიდი; ჩახუნაშვილების უბანში დაზიანდა ხიდი და გარესამყაროს მოწყობა 18 ოჯახი; როხი-სალომინაოს გზაზე დაზიანდა ხიდ-ბოგირი; ქალის უბანში დაიბნო 150 ჰა-მდე სასოფლო სავარგულები – საჭიროა 1 კილომეტრი მდინარის კალაპოტის განმეორება; მწყობრიდან არის გამოსული შიდა საუბნო გზები.

სოფელი პირველი ოზრა – გადაუღებელმა წვიმებმა მნიშვნელოვნად დააზიანა შიდა საუბნო გზები; მდინარე ლუხუტაზე მოსაწყობია 45 მ. სიგრძის გაბიონი; რეაბილი-

ტაციას საჭიროებს ორი ხიდის საყრდენი ბურჯი; სოფლის მთავარ გზაზე, სადაც მოძრაობს სოფლის ავტობუსი, დაზიანდა ხიდ-ბოგირი.

სოფელი მეორე ოზრა – დაზიანდა შიდა საუბნო გზები; მწყობრიდან გამოვიდა სანიღვრე არხები; ჩასატარებელია ნაპირსამაგრი სამუშაოები.

ქალაქი ბაღდათი – ბაღდათის ქუჩაზე უხვი ნალექის გამო ადიდებულმა მდინარემ დააზიანა საუბნო და შიდა საქალაქო გზა – მოსაწყობია საყრდენი კედელი (80 მ. სიგრძის გაბიონი); ჯავახიშვილის ქუჩაზე, ჯუმბერ რობაქიძის სახლთან მოსაწყობია დამცავი კედელი; მნიშვნელოვნად დაზიანდა ნინოშვილის ქუჩაზე მდებარე სპორტული სკოლის სახურავი.

ნერგეთის თემი – დაიმეწყრა სოფელ ნაბლარასხევის შიდა საუბნო გზა; სოფელ წყალთაშუაში, კორიშის უბნის დასაწყისში არსებულმა მილხიდმა ვერ შეძლო ადიდებული მდინარე ხანისწყლის ნაკადის გატარება, რის გამოც მნიშვნელოვნად დაზიანდა ბაღდათი – ხანის საავტომობილო გზა; სოფელ დაფენილში უხვმა ნალექმა დააზიანა შიდა საუბნო გზა – საჭიროა კიუვეტის გაჭრა და გზის დახრეშვა-დაპროფილება;

ზეგანის თემი, ხანის თემი, სოფელი საკრაულა – მენყრული ზონების გააქტიურებამ და მოვარდნილმა ღვარცოფმა გამოიწვია სოფელთან დამაკავშირებელი გზების დამეწყრა და ჩაკეტვა; პრობლემის მოსაგვარებლად საჭიროა სხვადასხვა

სახის საყრდენების მოწყობა.

სოფელი ვარციხე, დიმი და ზედა დიმი – მნიშვნელოვნად დაზიანდა შიდა საუბნო გზები და მწყობრიდან გამოვიდა სანიღვრე არხები.

საერთო ჯამში, ბაღდათის მუნიციპალიტეტში სტიქიამ დაანგრია და დააზიანა დაახლოებით 10 სამანქანო და საცაღფეხო ხიდი, 90 კმ-მდე შიდა საუბნო გზა, ჩამოიშალა 5000 კვ.მ. სანაპირო ზოლი, მთლიანად ან სანახევროდ დაიბნო 22 საცხოვრებელი სახლი, გარე სამყაროს მოწყობა 40-მდე ოჯახი.

სტიქიის შედეგად მიყენებული ზარალის შემსწავლელმა კომისიამ 10 ივლისის სხდომაზე ეკონომიკური და ინფრასტრუქტურული დაგეგმარების სამსახურის უფროსს, მირიან ფულარაიანს დაავალა დეტალური აქტებისა და საჭიროების შემთხვევაში, არსებულის კორექტირების უზრუნველყოფა.

იურიდიული და შესყიდვების სამსახურის უფროსს, ანტონ ქარაბაკს დაევალა შესაბამისი მასალების მომზადება და გადაგზავნა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში, რათა შესყიდვა, გადაუღებელი აუცილებლობიდან გამომდინარე, განხორციელდეს გამარტივებული შესყიდვის წესით.

მომზადებული მონაცემები უკვე გადაეგზავნა ინფრასტრუქტურის სამინისტროს, რომელსაც ეთხოვა წინასწარი დათვლის შედეგად განსაზღვრული თანხის (804000 ლარის ოდენობით) გამოყოფა.

დასრულდა ბაღდათის მუნიციპალიტეტის მთელი გამოცხადებული მნიშვნელოვანი ტენდერები

1. სოფელ დიმის საბავშვო ბაღი, სატენდერო თანხა 240 000 ლარი. გამარჯვებული კომპანია შპს „პარტნიორის“ ფილიალი ბაღს 191 999 ლარად ააშენებს.
2. სოფ. მეორე ოზრის საბავშვო ბაღის მშენებლობა, სატენდერო თანხა 200 000 ლარი, გამარჯვებული კომპანია „თ.ბ-კაპიტალი“ ბაღს 160 000 ლარად ააშენებს.
3. სოფ. პირველი ოზრის საბავშვო ბაღის მშენებლობა, სატენდერო თანხა 240 000 ლარი, გამარჯვებული კომპანია შპს „პარტნიორის“ ფილიალი ბაღს 185 790 ლარად ააშენებს.
4. სავარაუდო ღირებულებიდან 752 290 ლარი, ვარციხის გზაზე განსაზღვრულია 349 133 ლარი, ხოლო დიმის გზაზე 403 157 ლარი. გამარჯვებული კომპანია „ბაღდათის ავტოგზა“ აღნიშნულ გზებს 600 000 ლარად გააკეთებს.
5. ზეგანი - საკრაულას გზის ნაწილის მშენებლობა, სატენდერო თანხა 600 000 ლარი. გამარჯვებული კომპანია შპს „ჯ-ლანი“ გზას 504 999 ლარად გააკეთებს.
6. ბაღდათის სპორტული დარბაზის პროექტირებას შპს Modern Architectural Group 19 500 ლარად შეასრულებს.
7. სოფლის პროგრამის ფარგლებში სოფ. დიდველის და სოფ. როკითის საბავშვო ბაღების რეაბილიტაცია. სავარაუდო ღირებულებიდან 36 873 ლარი, როკითის ბაღზე განსაზღვრულია 17 339 ლარი, ხოლო დიდველის ბაღზე 19 534 ლარი. ტენდერში გამარჯვებული კომპანია აღნიშნულ სამუშაოებს 32 850 ლარად შეასრულებს.
8. ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფ. ფერსათსა და სოფ. ხანში საბავშვო ბაღების მშენებლობა-რეკონსტრუქცია. სავარაუდო ღირებულებიდან 460 000 ლარი, 240 000 ლარი გათვალისწინებულია ფერსათის, ხოლო 220 000 ლარი ხანის ბაღისათვის. გამარჯვებული კომპანია შპს „კომპანიონი“ აღნიშნულ ბაღებს 399 850 ლარად ააშენებს.



„ჩემი გზის“ რუბრიკა — ერთი სამსახურის ერთი დღე ამ ნომერში მოგიტოვებთ ა.ა.ი.პ. ხელოვნებისა და მუსიკის განვითარების ფონდის შესახებ, რომელიც დაარსდა 2015 წლის 1 აპრილს. მის შემადგენლობაში შედის ოთხი კულტურულ-სააღმწერლო დაწესებულება: რევაზ ლალიძის სახელობის ბალდათის კულტურის ცენტრი, ახალგაზრდული ცენტრი (ძველად ერქვა მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი), ვალერიან ქაშაკაშვილის სახელობის სამუსიკო სკოლა და კოტე ფოცხვერაშვილის სახელობის სახელოვნებო სკოლა. აღნიშნული ფონდის ჩამოყალიბებისას კოტე ფოცხვერაშვილის სახელობის სახელოვნებო სკოლა შეუერთდა ვალერიან ქაშაკაშვილის სახელობის სამუსიკო სკოლას და ეწოდა მუსიკალური ცენტრი. აღნიშნული სამსახურის მუშაობის გასაცნობად „ჩემი გზით“ ესაუბრა ა.ა.ი.პ. ხელოვნებისა და მუსიკის განვითარების ფონდის დირექტორს, ქალბატონ ინგა მაჩიტაძეს და მასში შემავალი ერთეულების — ცენტრების მენეჯერებს — ქალბატონებს, ცისანა კაიშაურსა და მარინა ჩხეიძეს.



ერთი სამსახურის ერთი დღე

ხელოვნებისა და მუსიკის განვითარების ფონდი



რევაზ ლალიძის სახელობის კულტურის ცენტრი. ა.ა.ი.პ. ხელოვნებისა და მუსიკის განვითარების ფონდის ადმინისტრაცია აღნიშნულ ცენტრში არის განთავსებული, ამიტომ მას სხვა ცენტრებისგან განსხვავებით ცალკე ხელმძღვანელი არ ჰყავს. კულტურის ცენტრში არის შემდეგი მიმართულებები: თეატრალური დასი (სამხატვრო ხელმძღვანელი მელიტონ ჯაფარიძე), საბავშვო თეატრ-სტუდია „ირი-და“ (ხელმძღვანელები: მანანა გოქსაძე და მარინა რიჟინაშვილი, ქორეოგრაფი შმაგი ლომაშვილი), უფროსი ასაკის ვაჟთა ფოლკლორული ანსამბლი „ბალდათი“ და ქორეოგრაფიული ანსამბლი „ბალდათი“ (ხელმძღვანელი ხვიჩა ლომიძე). ასევე ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლები.

2016 წლის იმერეთის თეატრალურ ფესტივალზე ბალდათის თეატრი პავლე აბულაძის პიესით — „საკანი №5-ით“ წარსდგა. სპექტაკლში ახალგაზრდა თაობა მონაწილეობდა, ისინი გამოუცდელები იყვნენ და მათი დებიუტი სწორედ აქ შედგა. უფროსი თაობის მსახიობებმა კი აღადგინეს პიესა „ოჯახური ომი“ და მისი ჩვენება რევაზ ლალიძის სახელობის ბალდათის კულტურის სახლში გაიმართა.

2015-2016 წლების ფოლკლორის ფესტივალზე ქორეოგრაფიულმა ანსამბლმა „ბალდათი“ წარმატებით გადალახა I და II ეტაპი და Check-in Georgia-ს ფარგლებში ბათუმის ბულვარში კონცერტი გამართა, სადაც გარდა ქორეოგრაფიული ანსამბლისა, მონაწილეობდნენ ბალდათის სალოტბარო სკოლის ვაჟთა გუნდი და ეგუტიძეების საოჯახო ანსამბლი.

2016 წელი წარმატებული აღმოჩნდა გოჩა შველიძის ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლ „როდოპოლისისთვის“, რომელიც ბულგარეთის ქალაქ ვარნაში გამართულ ფესტივალზე იყო მინველი და იქ I ადგილი დაიკავა.

გილი დაიკავა. ხოლო 14 ივლისს ქორეოგრაფიულმა ანსამბლმა რევაზ ლალიძის სახელობის კულტურის ცენტრში სოლო კონცერტი გამართა, სადაც ბალდათის მომღერალთა გუნდის გარდა, სალოტბარო სკოლის ვაჟთა გუნდიც მონაწილეობდა. ეს უკანასკნელი პირველად წარდგა ბალდათელი მსახურების წინაშე.

სალოტბარო სკოლა ახლახან ჩამოყალიბდა, 29 მარტს საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრსა და ბალდათის მუნიციპალიტეტს შორის გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი. სალოტბარო სკოლას ხელმძღვანელობს ლობჯანი ლევან გერსამია, რეგენტი გახლავთ ქართული საგალობლების სპეციალისტი — ზურაბ გოგოლაძე. ამჟამად სალოტბარო სკოლას 40-მდე აღსაზრდელი ჰყავს. იგი განთავსებულია ბალდათის ახალგაზრდული ცენტრის შენობაში.

ახალგაზრდული ცენტრი. ცენტრის მენეჯერი გახლავთ მარინა ჩხეიძე. დაწესებულება ეს სახელი 2015 წლის 1 აპრილიდან დაერქვა, მანამდე კი მას მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის სახელით იცნობდა საზოგადოება. 2015-2016 წლებში ახალგაზრდულ ცენტრში ფუნქციონირებს შემდეგი სასწავლო-სააღმწერლო წრეები: შემოქმედთა (I-II საფეხურის სკოლის მოსწავლეებისთვის), კომპიუტერის შემსწავლელი (II საფეხურის მოსწავლეთათვის), მათემატიკოსთა (I საფეხური), გეოგრაფია (III საფეხური), ინგლისური (I-II საფეხური), ვოკალური (I-III საფეხური), მხარეთმცოდნეობა-ტურიზმი, ნორჩი დიზაინერი (I საფეხური), ხელოვნებათმცოდნეობა (I საფეხური), ჟურნალისტიკა (II-III საფეხური), ინკლუზიური (სწავლების I-II საფეხური), ეკოლოგია (II საფეხური), ჭადრაკი (I-II საფეხური), ნორჩი ინტელექტუალი (II-III საფეხური), გამოყენებითი ხელოვნება (I-II საფეხური), დაწყებითი (I საფეხური). სწავლება უფასოა. ახალგაზრდულ ცენტრს დაახლოებით 220 მოსწავლე ჰყავს. აღნიშნული ცენტრის აღსაზრდელთა მონაწილეობენ რესპუბლიკურ კონკურსებსა და სასწავლო-შემოქმედებით კონფერენციებში. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მარინა გარუჩავას წარმატებული გამოსვლა გიორგი ცაბაძის სახელობის რესპუბლიკურ ფესტივალზე „ჩემი საქართველო აქ არის“, რომელიც 17 აპრილს გაიმართა და მარინამ I ადგილი დაიკავა. იგი თავის პედაგოგთან — ნუკრი კარკაძესთან ერთად აგვისტოში ბულგარეთში გაემგზავრება და „მზიურთან“ ერთად საერთაშორისო კონკურსში მიიღებს მონაწილეობას.

ახალგაზრდული ცენტრი წლის განმავლობაში სხვადასხვა სახის ღონისძიებასა და კონკურსს მართავს. ამჟამად ცენტრის აღსაზრდელებს საზაფხულო არდადეგები აქვთ და ისინი სწავლას ოქტომბრიდან დაუბრუნდებიან.

მუსიკალური ცენტრი. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ვალერიან ქაშაკაშვილის სახელობის სამუსიკო სკოლა და კოტე ფოცხვერაშვილის სახელობის სახელოვნებო სკოლა წარმოადგენს მუსიკალურ ცენტრს, რომლის ხელმძღვანელი გახლავთ ცისანა კაიშაური. იგი არის პიანისტი, რამდენიმე საერთაშორისო კონკურსის გამარჯვებული. ვალერიან ქაშაკაშვილის სახელობის სამუსიკო სკოლას 121 აღსაზრდელი ჰყავს, ნელს ისევე ელოდებიან მოსწავლეების ახალ ნაკადს. სამუსიკო სკოლაში ფუნქციონირებს საფორტეპიანო და სავიოლინო კლასები. სკოლამ წლის განმავლობაში რამდენიმე საინტერესო ღონისძიება გამართა. განსაკუთრებით აღსანიშნავია 7 მაისს ვინისა და ბალდათის მიტროპოლიტ ანტონის იუბილესადმი მიძღვნილი კონცერტი „მევიოლინეები სახურავზე“, სადაც ვალერიან ქაშაკაშვილის სახელობის სამუსიკო სკოლის სავიოლინო კლასის პირველი კლასის მოსწავლეებმა (ხელმძღვანელი მარინა რიჟინაშვილი-ხოტოველი) თეიმურაზ კობახიძის სახელობის სიმფონიურ ორკესტრთან (მთავარი დირიჟორი ლევან ჯავახიშვილი) ერთად დაუკრეს. მათმა გამოსვლამ დიდი მონონება დაიმსახურა. ნელს სავიოლინო კლასში უკვე 7 განცხადება შესულა. ასევე გამოსარჩევია მუსიკალური სკოლის შემავამებელი კონცერტი.

მუსიკალური ცენტრის ხელმძღვანელი ქ-ნი ცისანა მომავალ ნელს დიდ დარბაზში 3 საჩვენებელი კონცერტის გამართვას გეგმავს. მაგალითად, ერთი კონცერტი იონომუსიკას მიეძღვნება.

კოტე ფოცხვერაშვილის სახელობის სახელოვნებო სკოლა მდებარეობს ნითელხევში, აქ მხოლოდ საფორტეპიანო კლასი ფუნქციონირებს. ამ სკოლას, ქ-ნი ინგა მაჩიტაძის აზრით, დიდი მნიშვნელობა აქვს ბალდათის მუნიციპალიტეტის ხუთი სოფლისთვის (ფერსათი, I და II ნითელხევი, როხი და ვარციხე), ვინაიდან აღნიშნულ სოფლებში კულტურული დაწესებულებები აღარ ფუნქციონირებს. სახელოვნებო სკოლის მოსწავლეთა კონტიგენტს სწორედ ამ სოფლების მკვიდრნი ქმნიან. კოტე ფოცხვერაშვილის სახელობის სახელოვნებო სკოლის აღსაზრდელები მაქსიმალურად არიან ჩართულნი ხელოვნებისა და მუსიკის განვითარების ფონდის მიერ გამართულ ღონისძიებებში.

ქალბატონ ცისანა კაიშაურს სამუსიკო სკოლაში ხალხური სიმღერების პოპულარიზაციის მიზნით სურს ხალხური საკრავების სტუდია შექმნას. ამ გეგმის განხორციელებას ის, მისივე თქმით, ჩვენი მუნიციპალიტეტის მესვეურთა მხარდაჭერის გარეშე ვერ შეძლებს. როგორც ქალბატონმა ცისანამ აღნიშნა, ხალხური საკრავების სტუდიის მოსწავლეები ხალხურ ინსტრუმენტებზე დაკვირვების გარდა, თეორიულ ცოდნასაც შეიძენენ, მათ ჩაუტარდებათ სოლოფეჯიოს, მუსიკის ლიტერატურისა (მუსიკალური მუსიკის) და სპეციალური ფორტეპიანოს გაკვეთილები. ხალხურ საკრავთა სტუდიის გაკვეთება ხელს შეწყობს შემდგომში ხალხურ საკრავთა ორკესტრის ჩამოყალიბებას, რომელიც შეასრულებს ნეაპოლიტანურ და კლასიკურ სიმღერებს. ბავშვთა ხალხურ საკრავთა ორკესტრი, იქნება ერთადერთი, რომელიც ხალხურთან ერთად კლასიკურ ნაწარმოებებს დაუკრავს.

მუსიკალური ცენტრის ხელმძღვანელმა ჩვენთან საუბრისას აღნიშნა, რომ ხელოვნებისა და მუსიკის განვითარების ფონდის შექმნის შემდეგ მუსიკალური სკოლის პედაგოგთა ხელფასი მომატების ნაცვლად, შემცირდა. მისი თხოვნაა, ხელფასის ის ოდენობა მაინც დაუბრუნდეთ მასწავლებლებს, რაც მანამდე ჰქონდათ. ქალბატონი ცისანა სამუსიკო სკოლაში ინტერნეტის შეყვანას ითხოვს, კომპიუტერი აქვთ. მუსიკალური ცენტრის ხელმძღვანელი თვლის, რომ ინტერნეტის გამოყენებით პედაგოგები ბევრი საინტერესო რამის გაკეთებას შეძლებენ.

სამუსიკო სკოლაში, ქალბატონი ცისანას თქმით, არის კიდევ ერთი პრობლემა, 16 მუსიკალური ინსტრუმენტიდან (იგულისხმება პიანინო) 13 სარესტავრაციოა, ასაწყობია, ხისტი ხმის გამო ბევრის სილამაზის აღქმა ვერ ხერხდება. ბევრ მოსწავლეს სახლშიც არ აქვს აწყობილი ინსტრუმენტი და აქაც იმავე პრობლემას ხვდებიან. ადრე სამუსიკო სკოლაში არსებობდა ინსტრუმენტების ამწყობის შტატია, რაც დღეს გაუქმებულია.

ქალბატონი ცისანას თქმით, აუცილებელია სამუსიკო სკოლაში ისწავლებოდეს საგანი — ანსამბლი. ეს საგანი, როგორც თავად აღნიშნა, სხვა მუსიკალური სკოლების პროგრამაში არის და დიპლომშიცაა ჩანებული. მუსიკალური ცენტრის ხელმძღვანელის თხოვნაა, თუ ხელფასი არ გაეზრდებათ პედაგოგებს იმ ოდენობამდე, რაც მანამდე ჰქონდათ, ეს საგანი მაინც დაამატონ, ვინაიდან ის სავალდებულოა მოსწავლეთა განვითარებისათვის.

მარინა ოქროჭელიძე

ჩემი მნიერი ავტობიოგრაფია

ლაპიბაჰი ბალდათის რაიონის სოფელ მორე დიში. იქვე დაავითარე დიშის №2 საჯარო სკოლა. მაქვს მუსიკალური განათლება, ფორტეპიანოს განხორცი. საკუთარ ლექსებზე ვქმნი სიმღერებს. ცოდნის გაღრმავების საშუალება არ მომცა ჩემმა ბედისწერამ, რადგან ბავშვობაში მივიღე თვალის უმძიმესი ტრავმა. ეს ის ასაკი იყო, როდესაც ჯერ კიდევ არ ვიცოდი, თუ რა იყო ბედნიერება, ცხოვრება მოულოდნელად წამართვა თვალის ჩინი. ბედისწერის მცირედი წყალობა იყო მიმელო ის განათლება, რომელიც გამაჩნია. როდესაც მეგონა, ჩემს ოცნებებს ფრთები უნდა შესხმოდა, ისინი სავანის პანანინა ბუშტიბივით ერთმანეთის მიყოლებით გაქრა. დაუბრუნებლმა ბედისწერამ მარადიული წყვილადისთვის გამომეტა. ჩემი ოცნებები ვარდის კუკუროსავით გაუფურქვინელად ჩაქვანა, გული ოცნებების ერთ დიდ საფლავად გადამექცა.

მოსკოვში რამდენიმე წარუმატებელი ოპერაციის შემდეგ, ბედს დავმორჩილდი და ჩემი წყვილიაღი შევიყვარე, რადგან მივხვდი, რომ უარყოფითსაც აქვს რალაც დადებითი. როგორც უკუნ ღამეს ამშვენებს მთვარის და ვარსკვლავების სიდიადე, ისე გაიბრწყინა და დაამშვენა ჩემი წყვილი ჩემმა ლექსთა რითმებმა. ჩემი შთაგონების წყარო რომ ფურცელზე გადამეტანა, ჩემი გრძნობების შთაგონება გალაკტიონი გახდა. როდესაც გავეცანი მის შემოქმედებას, სულიერად შემძრა იმ ყველაფერმა. მე მას პოეზიის ღმერთი ვუნდო. დღეს მაინც ბედნიერად ვგრძნობ თავს, რადგან ჩემმა ტრაგიკულმა ცხოვრებამ ჩემზე ზეგავლენა ვერ მოახდინა და ვერ გამაბოროტა. თუ საკუთარი არ გამაჩნია, სხვისი ბედნიერებით ვხარობ და სხვისი ტკივილი მტკივა, რაც ჩემი პოეზიისა და მუსიკის დამსახურებაა. ასევე მყავს ბავშვობის მეგობარი, რომელმაც სახლში

გამოკეტვის და დეპრესიაში ჩავარდნის უფლება არ მომცა. სწორედ იმ დროს, როდესაც სრული უიმედობა იყო ჩემს ცხოვრებაში, გამოჩნდა ადამიანი, რომელმაც იმედის ნაპერწკალი გააღვივა ჩემს გულში, რომელიც მალე ერთ უზარმაზარ სიყვარულის ხანძრად გადაიქცა და სიცოცხლის სურვილიც დამიბრუნა. სწორედ ჩემი ცხოვრების სიყვარული გახდა ჩემი მუზა. ამჟამად გადაწყვიტე ჩემი პოეზია სხვებმაც ნაიკითხონ, დაე, საზოგადოებამ განსაჯოს არის თუ არა ღირებული, ჩემთვის კი მთელი ცხოვრებაა. ბედნიერი ვიქნები, თუ იმ გრძნობით მიიღებს მკითხველი, რა გრძნობითაც არის დაწერილი. ამჟამად ერთ-ერთი ჩემი დიდი ოცნება არის ჩემმა ლექსების კრებულმა იხილოს სამზეო. ასევე მსურს, შევქმნა ავტობიოგრაფიული რომანი. „ლიზი დიშელი“ — ამ ფსევდონიმით მინდა გამიცნოს მკითხველმა.

პოეზიის ღმერთი

ნუხელ სიზმარში პოეზიის ღმერთკაცი ვნახე, გამოიცანით ვინ იქნებოდა? თქვენში ვინ არის პოეზიის ღმერთი, მითხრა, მე რაც ნახედი, ვინ მოვიდაო, მეკითხებოდა.

მე ვუპასუხე, როგორც ერთი ამ ქვეყანაზე საქართველო და ქედმაღალი კავკასიონი, ისე ერთი ხარ პოეზიის ღმერთკაცი მარად, თვითონ პოეტი გალაკტიონი.

რძისფერ ბურუსში ეხვეოდა ლურჯი აპრილი, ფაფარაშლილი ღრიალებდა წყალი რიონის, ტყემლის ყვავილებს ნიაკი კი თეთრად გვათოვდა და შორს გატყორცნა პოეზია გალაკტიონის.

აპრილის ნისლი ეხვეოდა ჩემი ოცნებაც და ჩემი ფიქრი აიტაცა ზვირთად რიონმა, თეთრი ხიდიდან შორს ზეცაში ნაზად გაიჭრა, მინა დატოვა მონიშნებით გალაკტიონმა.

მზია ებანიძე

ვლადიმერ მაიაკოვსკი - 123



ვლადიმერ მაიაკოვსკის სახლ-მუზეუმს ბაღდათში ძალიან მდიდარი და საინტერესო მოვლენებით აღსავსე ისტორია და წარსული გააჩნია. იგი პოეტის გარდაცვალებიდან ათი წლის თავზე, 1940 წლის 14 აპრილსა დაარსებული და მას შემდეგ აქ არაერთ ცნობილ და კოლორიტულ პიროვნებას უმოღვანია, რომელთაც განსაკუთრებული წვლილი შეიტანეს მაიაკოვსკის შემოქმედების კვლევა-ძიების, პოპულარიზაციის საქმეში და რაოდენ სასახლო და საამაყო, რომ ეს ტრადიცია დღესაც გრძელდება.

წარსულიდან განსაკუთრებულად მინდა აღვნიშნო სამი შესანიშნავი პიროვნება, რომლებმაც გამორჩეული სახელი და კვალი დატოვეს არა მარტო მუზეუმის, არამედ, ზოგადად თანადროული საზოგადოების ცხოვრებაში. ისინი სხვადასხვა ეტაპზე მუზეუმს ხელმძღვანელობდნენ. პირველი მათგანი ალექსანდრე კოლოსკოვი იყო, რომელიც პოეტის დედის რეკომენდაციით დაინიშნა მუზეუმის დირექტორად 1941 წელს და უდიდესი წვლილი შეიტანა მაიაკოვსკის ბიოგრაფიისა და შემოქმედების კვლევის საქმეში. 1943 წელს იგი შეცვალა ასევე პოეტის ოჯახის რეკომენდაციით დაინიშნულმა მიქელ პატარაძემ. იგი იყო შესანიშნავი პოეტი და მაიაკოვსკის ბრწყინვალე მთარგმნელი. ამავე დროს ის პირადად იცნობდა მაიაკოვსკის. იგი 1959 წლამდე ხელმძღვანელობდა მუზეუმს, ამ დროის მანძილზე მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა პოეტის პიროვნებისა და შემოქმედების შემდგომი კვლევისა და სიღრმისეული განალიზების საქმეში. მან წარუშლელი კვალი დატოვა თანადროული საზოგადოების ცხოვრებაში. მას შეეძლო ამავე დროს ექსპრომტად ლექსის თქმა, რის გამოც არა ერთ საინტერესო და სახუმარო ამბავს ისწავებენ მასთან დაკავშირებით.

1959 წლიდან 2000 წლამდე მუზეუმს ხელმძღვანელობდა მიქელის ბრწყინვალე სკოლაგავილი და ფაქტურად მის ხელში აღზრდილი ნიკოლოზ კუჭუხიძე. იგი იყო ამავე დროს შთამომავალი იმ კუჭუხიძეებისა, რომელთა ოჯახშიდაც მდგომარეობდა ცხოვრობდნენ მაიაკოვსკები და სადაც დაიბადა დიდი პოეტი. განსაკუთრებული და გამორჩეული იყო მისი სიყვარული მუზეუმისადმი. მან მთელი თავისი ნიჭი და შესაძლებლობა ბოლომდე შეაღწია მუზეუმის შემდგომი წინსვლის საქმეს. სწორედ მის სახელთანაა დაკავშირებული სამუზეუმო საქმიანობის აპოთეოზი, 70-ანი წლების ბოლოს მუზეუმში მომსვლელ მნახველთა რაოდენობამ სარეკორდო ნიშნულს მიაღწია.

ყოველთვის დიდი სიხარულითა და საზეიმო განწყობით აღინიშნებოდა მაიაკოვსკის დაბადების დღეები ბაღდათში, რომლებიც ხშირად კომპლექსური და მასშტაბური ღონისძიებების სახეს იღებდა, რაც გამოწვეული იყო ქართველი ხალხის სიყვარულით პოეტისადმი და ზოგადად ხელოვნებისადმი.

დიდი პოეტის სახელთან დაკავშირებული ღონისძიებების აღნიშვნის ტრადიცია დღემდე გრძელდება. ყოველწლიურად

აღვნიშნავთ გარდაცვალებიდან და დაბადების დღეს, ამავე დროს ჩვენი მუზეუმის ბაზაზე ფუნქციონირებს ლიტერატურული სალონი, რომელსაც ხელმძღვანელობს ცნობილი პოეტი ზაალ ებანიძე და რომელმაც მუზეუმის მეცნიერ-თანამშრომელთან, კონსტანტინე კიკნაძესთან ერთად მაიაკოვსკის რამდენიმე შესანიშნავი ნაწარმოები ძალიან კარგად და მოხდენილად თარგმნა ქართულად. რაც მთავარია, თარგმანში ოსტატურად არის შენარჩუნებული დიდი პოეტის ლექსის ორიგინალობა და ხასიათი.

წელს, 19 ივლისს დიდ პოეტს 123 წელი შეუსრულდა. მუზეუმში ამ თარიღთან დაკავშირებით ჩატარებული იქნა ძალიან კარგი, ლამაზი ღონისძიება, რომელიც შეიძლება ითქვას, გამორჩეული და განსაკუთრებული იყო სხვებთან შედარებით, რადგან სწორედ ამ დღეს მოხდა მაიაკოვსკის ორი ახალი თარგმანის წარდგენა-პრეზენტაცია საზოგადოების წინაშე. ერთ-ერთი მათგანი, მაიაკოვსკის ბრწყინვალე პოემა „ამის შესახებ“ სრული ფორმით პირველად ითარგმნა ქართულ ენაზე და რაოდენ საამაყოა, რომ ამ თარგმანის ავტორები მუზეუმის თანამშრომლებია: ცნობილი პოეტი ზაალ ებანიძე და მეცნიერ-მუშაკი კონსტანტინე კიკნაძე.

მაიაკოვსკის მეორე ცნობილი პოემა, „ხერხემლიანი ფლეიტა“ თავად ავტორმა, მაიაკოვსკის კიდევ ერთმა შესანიშნავმა მთარგმნელმა ნინო ქიქოსაძემ წარუდგინა საზოგადოებას. აღნიშნული, პოემა აქამდე არა ერთ ცნობილ პოეტს ჰქონდა თარგმნილი ქართულად. ეს კიდევ ერთი საინტერესო და ორიგინალური ნინოსეული ინტერპრეტაცია იყო ქართულად, რა თქმა უნდა, ყოველივე ზემოთ თქმული, კიდევ ერთი ნათელი დადასტურებაა იმისა, თუ რაოდენ დიდია საზოგადოების ინტერესი პოეტის შემოქმედებისადმი.

მინდა მადლობა გადავუხადო ქალბატონ ნინოს, ბატონ ზაალს და ბატონ კონსტანტინეს იმ დიდი ღვაწლისათვის, სიყვარულისათვის, რაც მათ გამოიჩინეს დიდ პოეტთან და მუზეუმთან მიმართებაში.

საიუბილეო ღონისძიებას ესწრებოდნენ, ბაღდათის მუნიციპალიტეტის გამგეობისა და საკრებულოს წარმომადგენლები, ადგილობრივი ინტელიგენცია.

ეს დღე კიდევ ერთ ლამაზი, ღირსშესანიშნავი და დაუვიწყარი იყო ბაღდათის ცხოვრებაში.

**ბექა კუჭუხიძე,
მუზეუმის მენეჯერი**

მაიაკოვსკის ეთიუარი სინამდვილე



ყოველი გენიალური შემოქმედის ეთიუარი ყოფიერება მეტად რთული და ცვალებადია, მასზე ზეგავლენას ახდენს ეპოქის ისტორიულ მოვლენათა პერიპეტეიები; ზოგჯერ არც თუ ისე იოლად ასახსნელი და გასაგები.

იდეოლოგიური ბრწყინვალეობა და მით უმეტეს, ქვეყანაზე სამართლიანობის, სიკეთისა და ბედნიერების დამკვიდრების მოწოდებებით მოსული, აცდუნებს, როგორც გაუთვისებელი, ასევე გათვისებელი ერებულ ადამიანებს.

ბავშვი — მაიაკოვსკის ზნეობრივი აღმადგინებელი კარგად ჩანს ერთ ფაქტთან დამოკიდებულებაში. მას მშობლებმა ფოტოაპარატი უყიდეს, მაიაკოვსკი ლექსით გამოეხმაურა ამ ფაქტს:

„მამა რადა,
პაპა რადა,
ჩიტო კუპილი აპარატი.“

დავაკვირდეთ: რამ უბიძგა მას ამ ლექსის დაწერისაკენ? არა თავისმა სიხარულმა, არამედ, სხვა ადამიანების, ამ შემთხვევაში, მშობლების სიხარულმა. მომავალი გენიოსი სხვისმა სიხარულმა აღაფრთოვანა და გაახარა. ხშირად ამა თუ იმ შემოქმედზე იტყვიან, რომ იგი პოლიტიკური პოეტია. ამგვარ შეფასებას აძლევენ შემოქმედს არა მხოლოდ ჩვეულებრივი მკითხველები, არამედ, ლიტერატორებიც და ამგვარი შეფასება ითვლება შემოქმედის ნაკლად. კიდევ უფრო მძაფრია ვითარება მაშინ, როდესაც ხელოვანი დაახლოებულია ხელისუფლებასთან.

მაგრამ, მოდით, ვკითხოთ საკუთარ თავს: რომელი გენიალური პოეტი არ იყო პოლიტიკური? ჰიუგო, დანტე, ახმატოვა, შექსპირი, სერვანტესი, სტენდალი, დოსტოევსკი, ტოლსტოი, შილერი... განა მათი შემოქმედება არაა გაუღწეველი პოლიტიკით? ამა თუ იმ პოლიტიკური შეხედულების სრული გაზიარება ან მასთან მკვეთრად გამობატულ ოპოზიციამი ყოფნაც, პოლიტიკურობის დასტურია.

ლენინითა და საბჭოთა სინამდვილით მოხიბლული მაიაკოვსკი ერთადერთი არ იყო მაშინდელ შემოქმედთაგან. ნებისმიერი დიდი პოეტი მოაწერდა ხელს „საბჭოთა პასპორტს“. „პოლიტიკა მინაზე იწყება და მინაზევე რჩება“, ხოლო მაიაკოვსკის პიროვნება მთლიანი და ზეციურია. მისი დაძაბული ზნეობრივი ცხოვრება პოლიტიკურ და შემოქმედებით ქსელს დიდი ძალისხმევით, თანდათანობით გლეჯს და თავის თავში ღრმად დარწმუნებული, მაღალი ზნეობრივი შეგნებით მიიწევს პარანსისაკენ.

უკვე 20-იანი წლებიდან იწყება მისი აშკარა დაპირისპირება ბოლშევიკურ დიქტატურასთან. იმელები, ოცნებები გაცრუებულია და მაიაკოვსკი დაძაბული მიტურავს, ისევე, როგორც ყველა გენიალური შემოქმედი, დინების სანინააღმდეგოდ. „სტიხი ია პიშუ ვსემ ტელომ“. დიას, თავისი ახოვანი, სპეტაკი სხეულითა და მასში განივთებული სულით ქმნის ის თავის მამობურ და ღრმა პოეზიას, რომლის შექმნის იმპულსები მის სიყვარულშია, ქალღმერთის სიყვარულში — იქნება ის ლილია ბრიკი, ტატიანა იაკოვლევა თუ სხვა. მან ძლიერი სიყვარული იცოდა და მოხდა ის, რასაც ფრანგი მოაზროვნე ფრანსუა დე ლაროშ ფუკო განსჭერტადა: „ვისაც ძლიერ უყვარს, ის დიდხანს ვერ ამჩნევს, რომ იგი აღარ უყვართ“. ისიც უნდა ითქვას, რომ ეს ქალები და მათადმი მაიაკოვსკის სუფთა, ალამარათალი და ერთგვარად მორჩილი დამოკიდებულება იქცა მისი პიროვნების ტრადიციად.

მაიაკოვსკი ატარებს დიდ შინაგან პასუხისმგებლობას და მათ შეუსრულებლობას ვალად მიიჩნევს, იქნება ეს ცივილიზაციის მანათობელი მონაპოვარი — ბროდდის ლამპოვნები, სახელმწიფოებრიობის უმნიშვნელოვანესი ატრიბუტი - არმია, მშენებლების სრული გამოხატულება — იაპონური ალუბლები, თუ ბაღდათის ზეცა, როგორც ზნეობრიობის, სიკეთის, სიმშენიერის, ძლიერებისა და სამართლიანობის სიმბოლოების წინაშე.

ბევრის, ბრწყინვალედ მთქმელს და ამსახველს, კიდევ უფრო მრავალისა და მშენებლების შექმნა არ დასცალდა, და მაინც, ამ ქვეყნიდან ტრაგიკულად ნასული პოეტი რჩება ვაჟკაცობის, ადამიანურობისა და პუმიანზიმის უკვდავ ნიშანსვეტად.

ნუგზარ კუჭუხიძე



ვლადიმერ მაიახოვსკი - 123

მაიაკოვსკის ზედაპირული "პოეტური ფასადის" განსაკუთრებული პროპაგანდის წყალო-ბით, კომუნისტებმა, მისი ნამდვილი სახე აგერ აქამდე დაუმალეს ხალხს. იცოდნენ რასაც აკეთებდნენ — ისარგებლეს კიდევ: როცა წითელმა იდეოლოგიამ ფერიცვალება დაიწყო და მარქსისტულ-ლენინურმა მოძღვრებამ ჩაიღურის წყალი დალია, ინტიმარი არ გაიტყუნეს, ბოლო ოცი წელიწადი, პოეტის პოლიტიკური ლექსებიდან ამოკრებილი ლოზუნგებით აგორეს ქვეყანა. მეოცე საუკუნის ამ მსოფლიო მასშტაბის პოეტის "სავიზიტო ბარათად", საბჭოთა პასპორტზე დაწერილი, თავისთავად, მშვენივრად დაწერილი ლექსი ითვლებოდა კარგაზნანს. მთარგმნელებიც, ძირითადად, შექმნილ ვითარებას უხდინდნენ ხარკს, მათ შორის საქართველოშიც — ერთეული გამონაკლისების გარდა "მუშა" ლექსებს თარგმნიდნენ მხოლოდ. ამის დასტურად გასული საუკუნის ორმოცდაათიან წლებში გამოცემული პოეტის სოლიდური მოცულობის რჩეული გამოდგება. ვითარების შეცვლა სამოცდაათიანი წლების დასაწყისიდან დაიწყო, რომელსაც დასაბამი პოეტის პოემების ვახტანგ ჯავახიძისეულმა თარგმანებმა დაუდო. მიქელ პატარაიძის, დავით გაჩეჩილაძის და კიდევ რამდენიმე სხვათა მიერ ქართულად შედარებით უკეთ "მოხელთებული" მაიაკოვსკი, ამ თარგმანებმა ახალ სიმაღლეზე აიყვანა. შესაძლოა ჩვენს წინაშეა შემდგარი. ჩვენ მიერ წარმოდგენილი თარგმანები მაიაკოვსკის პოეტური შესაძლებლობების სრულფასოვანი დათვალიერების საუკეთესო საშუალებას იძლევა.

თარგმანს ზაალ ახანოიძემ და ჯონსტანბინა ჯიანაძემ

ხარგი ღამოიღებულა ცხენებთან

ფლოქვების ხმაური —
სიმღერა ხმაიანი
თრაქ
თრუქ
თრაქ
თრუქ
ქარით გაღვიძლი
ყინულის ფეხსაცმელებიანი.
მოცურდა ქუჩაში
და გაგაზე დაეცა ცხენი.
უმალვე შარვალმოდარფატე
მოსეირე-უსაქმურები-კუხნეცკი მთელი,
შეგროვდა. ასეთ ბრბოს
დამცინავი ხარხარი შეენის:
- ცხენი დაეცა!
- დაეცა ცხენი!
- იმით ხარხარში და ყმუილში
ერთი ჩქამიც არ არის ჩემი.
მივუახლოვდი
წაქცეულ ცხენს
უსიტყვოდ,
მუნჯად,
თვალში თავდადმა დამხობილი
ვიხილე ქუჩა,
ხოლო სახეზე
წვეთწვეთობით მოცურავს ცრემლი
და იკარგება
ფლან ბეწვებში
ზედ დრუჩებს ზეით.
ასეთ დროს ტანმა,
ცხოველური, ზიარი ტკენა
იგრძნო და ჩემდაუკითხავად

ანქამდა ენა:
„ცხენო არ გინდა,
მომისმინე, არ დალო ზავი,
არ გვევლება მათ წინაშე დახარო თავი.
ბავშვო,
ყველანი ჩვენ ცოტათი გაგჩნდით
ცხენებთან,
ყოველ ჩვენგანში ცოცხლობს ცხენი,
გვიყვარს ჭენება,
-ზოგში ბებერი,-
გაღია რომ აღარ სჭირდება,
ზოგიც კვიცია, ძალუქს ქარის
გამოკიდება.
აღარ ინება ცხენმა
მეტი, ჩემი მოსმენა,
წამოღვა ფეხზე-
გხედავ შორშორს მიიტყორცნება.
ჰაერს მიაპობს
კულქიცინა წითური ბავშვი,
მივა თავლაში,
ალბათ ძალე-
საკუთარ სახლში
და მერე მჯერა,
ჩათვლემილი
ნახავს ჩვენებას-
კვიცია ისევე,
მთა და ბარის
ხიბლავს შენება...
ღირდა სიცოცხლე,
ღირდა შრომა,
ღირდა ჭენება.

1918 წელი

ვიოლინო და ცობა ნერვიულად

ნერვებმოშლილი ვიოლინოს ღრიალზე
ბავშვურზე,
დაფრთხა ბარაბანი:
„კარგი, კარგი, კარგი!“
და ისე დაილალა,
იმის ხმას აღარ უსმენს
და ცეცხლოდებულ კუნწეცკიზე
შლივინით გარბის.
ორკესტრი უცხო მხერით მიაცილებს,
ქეთითით გულამომჯდარ
ვიოლინოს სინამდვილეს,-
უსიტყვოდ,
უტაქტოდ.
ასეთ დროს
სულელი თეფში
ფრთებს შლის და
ღრიალით ძგერს:
„რა არის ეს?“
„როგორ არის ეს?“
და როცა გელიკონმა-
ჟანგის რომ ფერი ასდის,
იყვირა:

„სულელი,
პირი მოიბანე დღეს!“
წამოვდექი და
ნოტების გავლით შევევალდი,
დახრილი პიუპიტრების
საშინელების ქვეშ.
რატომღაც ხმამაღლა წამომცდა:
„ღმერთო!“
ყვლით მიჭირავს ვიოლინო-
„ იცი რა?!“ -ვაპობ-
„ქეთითით ვგავართ ჩვენ ერთმანეთს,
ერთმანეთს ვერ ვთმობთ,
მაგრამ ვერაფერს ვერ ვამტკიცებთ,
ასეთ დროს, კარგო!“
მუსიკოსები იცინიან:
„გაუბი, როგორ!
მიუახლოვდი ხის პატარძალს
ჭკვიანო, ვგზომ!“
ნაფურთხად მიღირს მათი აზრი,
ვიოლინოვ, ძვირფასო, ოღონდ
ჩვენ ერთმანეთთან
ცხოვრება შევძლოთ!
ა?

და მაინც

ჩაშლილი ქუჩა - სიფილისტიანის ცხვირი ნამდვილი.
მდინარე - ავხორცობის პირნერწყვი ნაღები.
მიყარ-მოყარეს თეთრული - ფოთლები ამ დილით,
იენისში ბილწად ჩაწვენ ბაღები.

მე გამოვედი მოედანზე,
დამწვარი კვარტალი -
ცეცხლის პარიკი - ჩემს პროფილს ამთავრებს.
ხალხი დაუაფეთე - თუ გინდათ მართალი -
პირიდან ვვირილი დაუღეჭავ ფეხებს აფართხალებს.

მაგრამ არ გამსჯიან, ღრენას არ მკადრებენ,
პირიქით - წინ ვარდებს მიფენენ ყოველთვის,
როგორც რო მესიას - მიზეხი ლექსია -
ეამაყებათ თავიანთი პოეტი.

რა სამიკიტნო, რა სამსჯავრო - სამანებს ვერ ვშლი!
ცეცხლოდებული შენობიდან შეძლებენ გათრეკას
მეძაგები და წმინდანივით აყვანილს ხელში
ღმერთთან წარმადგენენ საკუთარი თავის მართლებად.

და ღმერთიც ატირდება ჩემ წიგნზე!
ღაწვით სიტყვების შედეგებულ კურცხლებს აგროვებს;
მერე ზეცაში ფურცელ-ფურცელ და თან ზედიზედ
სულმოუთქმელად წაუკითხავს თავის ახლობლებს.

ყველაფერზე

არა, არაა
მართალი,
თავის მართლება მომბეზრდა!
გულშიაც როგორ გაივლე.
კარგი,
მე დავდიოდი,
მე გჩუქნიდი ყვაილებს,
რა საქმე მქონდა შენს ყუთთან და
ვერცხლის კოვებთან.
პირთუთი,
მეხუთე სართულიდან ჩამოვყავდი.
ლოყები დამწვრა- ქარებმა დამსაჯენ.
ქუჩებმა დააყენეს კორიანტელი,
ჭიხინი, ღრიალი
ავხორცად ილესავდნენ რქას რქაზე.
ამაღლი ამოუბაზე,
დედაქალაქის მთენთაზე-
ძველი ხატების
შუბლი მკაცრია.
როგორც სასიკდილო უროზე-შენს ტანზე,
მზე დაიხარჯა
და ზურგი გაგცია.
ცოდვა არ ჩაუდგინა შენს ხელებს
და მაინც შელახეს ღირსება შენი:
„რბილ საკარძელში
ჩამჯდარა, შეხედეთ,
ნანატრი ხილი, ღვინო, ლხინი
მაგიდა და გაშლილი ხელი“
სიყვარულს
დღემდე, ტახტი ედგა
ჩემს
ტანჯულ ტყინში!

დღეიდან მორჩით კომედიებს და გონზე მოდიო;
შემხედეთ-
ვიძრობ სათამაშო ჯავშანს და ვისვრი-
მე დიდზე დიდი ვარ ღონ კიხოტი.
გახსოვდეთ,
რომ მძიმე ჯვრის ქვეშ,
წამით
ქრისტეც რომ გაჩერდა დაღლილი,
ბრბომ თავზე
ჩამოიცვა სივრცე:
„მარალას.
მარარაალას“ ძახილით!
მართალია!
უსაქმოდ გორაობს რამდენიც-
საკუთარ წარსულში ფურთხების ღირსია!
მოღაწე- მოხალისეების ადამიანისგან
აბუნად აგლების
მიხეზი აქამდე ვერ ამომიხსნია.
საკმარისია!
წარმართულ ძალას დავიფიცებ-
ჩემ თავს ავლაგამავ,
რითაც მე აქამდე ვცხოვრობდი.
დამითმეთ
ნებისმიერი
ლამაზი ახალგაზრდა-
სულს არ გააფლანგავ,
გავაუბატიურებ-
დავცილებ მე ხალხის მოლოდინს.
თვალი თვალის წილ!
სიმულვილს რომ ვთქვასეთ,
ყურებში ასეთ დროს ვინ ბლავის:

-მთელი დედამიწა
კატორღად მოგვცათ-
ნახევრად გაპარსული მზის თავი!
თვალი თვალის წილ!
მომკალით,
დამმარხეთ,
მე მაინც ამოვალ-
კბილების ალესვას წინაწინ ვეწევი,
და ლეიბს, კაზრმაში, ნაროვანს
ავწევ და
ძალღვივით
ფეხებში შეეწევი.
უეცრად იღვიძებ,
დამფრთხალი გული გაქვს,
მე ამ დროს თეთრ ხარად
ვიზრდები მიწიდან:
მუუუუ!
ნაუღლარ კისერზე წყლულია,
დავდივარ, დამყვება
და ბუზებს იზიდავს.
და როცა ცხენ-ირემიც შევიქმნები,
თვალები ივსება
სისხლით და ცრემლით;
ტოტებში გამარჩენს
ჩემი რქები,
გატანჯულს მწვერების დევნით.
გაქცევა უჭირს ადამიანს!
ლოცვა აქვს პირზე,
წვეს ფილაქანზე ჭუჭყიანი
და მავდრებელი.
და მე ჩამოვფქვავ
მეფის კარზე ჩემ სათქმელს ისე,

როგორც რო რახინის
უფლის ხატს შეპყვრის.
მზუ! შეაჩერე სხივები შენი!
მდინარეებო დამრიო!-ნუ დაარწყულებთ მზეს!
მსურს ბევრი დაიბადოს მიმღევარი ჩემი,
რომ ბუკებს ანათემა ვაყვიროთ დღეს!
ბოლოსდაბოლოს
სულ
ზედა ფენები ეკავათ,
ყამი დაუღაოთ დღეს უკან დახევის,
შავ სულში, მკვლელების
და ანარქისტების წელკავად,
სისხლიან მოჩვენებად გარდავისახები.
თენდება.
ცისპირი სულ უფრო გაფითრდა,
სიბნელის გულუკი ფლუპით
დალევდა შეიძელ,
სიცხე და სინათლე
შემოდის ფანჯრიდან.
მძინარე ქალაქზე იღვრება სქელი მზე.
წმინდა შურისძიება ჩემო!
ქუჩების
მტვერიდან მსურს ცაში წამოყვანო!
და ჩემს პირთამდე ავსებულ გულს,
მოვთხოვ აღსარებაში
ბოლომდე დაიღვაროს.
ხვალინდელ თაობებს მოვუხმობ,
ვინა ხართ?!
წყენით და ტკივილით სავსეა მკერდი.
მე ბაღს ხილისას თქვენთვის ვინახავ,
სულის ბაღს ხილისას ვინახავ თქვენთვის.

1916 წელი



ხარგი ასოციაციები - ასოციაციიდან

ჯანსუღ ლენჯილიას სახელობის ბალდათის საჯარო, სოფლებს – დიშისა და ფერსათის – ბიბლიოთეკები საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის წევრები გახდნენ. ცხადია, საინტერესოა, რას წარმოადგენს ასოციაცია და რა სარგებელს მოუტანს მასში განწევრიანება ბალდათის მუნიციპალიტეტის სამ (სხვა სოფლების ბიბლიოთეკები 2007 წელს გაუქმდა) ბიბლიოთეკას.

საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაცია დაარსდა 2000 წელს. ასოციაცია არის კანონმდებლობით განსაზღვრული „კავშირის“ ტიპის არასამთავრობო ორგანიზაცია და იგი არ წარმოადგენს სამთავრობო სტრუქტურას, ამიტომ მისი საქმიანობის დაფინანსება ხდება არა ქვეყნის ბიუჯეტიდან, არამედ იმ წყაროებიდან, რომლებიც წესდებამაა მითითებული. ასოციაციის წევრი შეიძლება გახდეს ნებისმიერი პიროვნება ან ორგანიზაცია, რომელიც ცნობს ასოციაციის წესდებს და მიზნებს. ასოციაციის წევრობა ნებაყოფლობითია. ასოციაციის წევრს აქვს ორი ძირითადი უპირატესობა:

1. **ეკონომიკური მხარე** - ასოციაციის წევრი მისი საქმიანობის შედეგად გამოცემულ წიგნებს, ბროშურებს, ჟურნალებს და სხვა ნაკლებ ფასად შეისყიდის, ან საერთოდ, უფასოდ მიიღებს. ასოციაციის მიერ დაგეგმილ სასწავლო ტრენინგების დასასწრებად მის წევრს ნაკლები გადასახადის გადახდა მოუწევს.

2. **საორგანიზაციო მხარე** - ასოციაციის საქმიანობის შედეგად შემუშავდება ნორმატიული დოკუმენტები, სტრუქტურები, შესრულებული პროექტები და პროგრამები, ჩატარდება ღონისძიებები, რომლებიც შემდგომ, მეტად თუ ნაკლებად, შეეხება საბიბლიოთეკო-საინფორმაციო დარგში მომუშავე ყველა ორგანიზაციასა და პიროვნებას. თუ ასოციაციის წევრები დაინტერესდებიან მათი პრობლემა ასოციაციის საქმიანობაში აისახოს (ამასთან ერთად ისე, როგორც ეს მათთვის იქნება უკეთესი), ისინი შეძლებენ ამ საქმიანობაში ჩაბმას

და სათანადო მიმართულებით გაძღვალას (სხვა წევრებთან ერთად). ამის საშუალებას ის დემოკრატიული პრინციპები იძლევა, რომლებიც ასოციაციის წესდებებში და სხვა დოკუმენტებში არის (და მომავალშიც იქნება) ჩადებული.

საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციასთან არსებული კონსორციუმის ძირითადი მიზანია ბიბლიოთეკებში საინფორმაციო ტექნოლოგიების დანერგვის ხელშეწყობა. საერთო ფინანსური მიზნები ამ შემთხვევაში გულისხმობს ინტეგრირებული საბიბლიოთეკო სისტემის (პროგრამული უზრუნველყოფის) ერთობლივ შექმნას და ახალი საინფორმაციო მასალების (ძირითადად ელექტრონული პერიოდული გამოცემების) ერთობლივ ხელმოწერას.

განმარტებისთვის: აღნიშნული სისტემები საკმაოდ მაღალფასიანია და არც ერთ ბიბლიოთეკას არ შეუძლია მათი დამოუკიდებლად შექმნა. ერთობლივი შექმნის შემთხვევაში კი ყოველი კონსორციუმის წევრი - ბიბლიოთეკა იხდის საერთო ფასის გარკვეულ ნაწილს, რაც გაცილებით უფრო მომგებიანია ყველა მხარისათვის.

ასოციაცია რეგულარულად

ატარებს ბიბლიოთეკების კვალიფიკაციის ამაღლების სასწავლო კურსებს. მუდმივად ცდილობს თანამედროვე სტანდარტების დანერგვას საქართველოს სხვადასხვა ბიბლიოთეკებში და სწორედ ამ მიზანს ემსახურება აღნიშნული კურსი. სწავლების პროგრამაში შედის ისეთი საკითხები, როგორცაა: საბიბლიოთეკო მენეჯმენტი; ახალი საინფორმაციო ტექნოლოგიები ბიბლიოთეკებში; სიახლეები საბიბლიოთეკო საქმეში; საზოგადოებასთან ურთიერთობა; საბიბლიოთეკო კლასიფიკაცია; ელექტრონული კატალოგების წარმოება; ინტერნეტ-სერვისები, პროექტები და გრანტები და სხვა. ასოციაცია დიდ ყურადღებას უთმობს სოფლის ბიბლიოთეკებს. ამჟამად მიმდინარეობს პროექტი „ინტერნეტი ყველა სოფლის ბიბლიოთეკას“, რომლის ფარგლებშიც სხვადასხვა მუნიციპალიტეტის სოფლის ბიბლიოთეკებს კომპიუტერული ტექნიკა უკვე გადაეცათ.

ეს ის მნიშვნელოვანი ჩამონათვალია, რომლის რეალობად გადაქცევის შემთხვევაში, ბალდათის ბიბლიოთეკების მდგომარეობა შედარებით გაუმჯობესდება. ბოლოს კი ვთქვათ, რომ ასოციაციის წევრი 150-მდე ბიბლიოთეკაა, მათ შორის, ეროვნული, საჯარო (საქალაქო, მუნიციპალური და სასოფლო), სასკოლო, უნივერსიტეტების და ორგანიზაციების ბიბლიოთეკები.



საუბრობი ვაჟა

ჯანსუღ ლენჯილიას სახელობის ბალდათის საჯარო ბიბლიოთეკაში ვაჟა ფშაველას 155 წლისადმი მიძღვნილი შეხვედრა ისეთივე ალალი, გულიანი და სიყვარულით სავსე იყო, როგორც თავად ვაჟა და მისი შემოქმედება. ცხადია, ამ ბუმბერაზ შემოქმედზე საუბარი არ მოგწყინდება, სათქმელსაც რა დალევს და ამიტომაც შეიკრება მისი თავყვანის-მცემლები ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში და ერთგვარი „საფიხენო“ მოაწყობენ. ყველაფერი ბალდათის ქუჩებში გადაღებული ვიდეორგოლის ჩვენებით დაიწყო, მერე იყო აზრთა ურთიერთგაზიარება და ბოლოს ფურცლებზე გამოტანილი ნაზრები ვაჟა ფშაველაზე.

წარის „იასანები“

ნაწილი კარბაქი ჩვენი მუნიციპალიტეტის წარმატებული შვილია. მას მრავალი ლექსი და მუსიკა აქვს შექმნილი. ნუკრის შემოქმედება ცნობილია, როგორც ბალდათის ბიბლიოთეკის, ასევე ქართველი ვარსკვლავებისათვის. 2015 წლის 12 აგვისტოს ბალდათის რევაზ ლალიძის სახელობის კულტურის ცენტრში გაიმართა ნუკრის შემოქმედებითი საღამო, სადაც მისი სიმღერები შეასრულეს: ლაშა ლლონტაძე, ეკა მამალაძე, გია დავითიანი და სხვებმა. სწორედ ამ საღამოს დასასრულს, გამგებელმა ირაკლი გეგეშიძემ გამოთქვა სურვილი, ნუკრის პირველი პროფესიული ალბომის შექმნის შესახებ და დაპირდა იქ მყოფ საზოგადოებას, რომ ყველაფერს გააკეთებდა ამისთვის. გვერდში დგომისა და დახმარებისთვის ნუკრი დიდ მადლობას უხდის ირაკლი გეგეშიძეს, გელა მშვილდაძეს (ამჟამად გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი) და კახა გოგინაძეს, რომელმაც ალბომის ჩანერგვაში დახმარება გაუწიეს. ასევე ალბომის მუსიკალურ ხელმძღვანელს მარიკა კვალაშვილს. მხარდამჭერები არიან: ბალდათის მუნიციპალიტეტი და ბალდათის მუნიციპალიტეტის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური.

ნუკრის პირველი პროფესიული ალბომი „იასანები“, რომელიც სტუდია „თბილისი“ ჩაინერა, მალე გამოვა. ალბომში შესულია 16 სიმღერა, რომელთა მუსიკაც ნუკრის შექმნილია, ხოლო ტექსტი 16-დან 14 მისივე დაწერილია. სიმღერებს ასრულებენ: ეკა მამალაძე, ირმა სოსხაძე, ლაშა ლლონტი, გია დავითიანი, ელენე ფორსუა, სოფო ბედაია, ელენორა გოგოლაშვილი, თინათინ თვალაშვილი, დავით მაჩიტაძე, ანატოლი ჭურულაია, ანი ნუცუბიძე, ბექა ბანძელაძე, ანსამბლი „ხარება“, კვარტეტი „ალილო“, ანასტასია შუბითიძე, ბადრი სახამბერიძე და თავად ნუკრი კარბაქი. ალბომი 500 ეგზემპლარად გამოვა და მისი პრეზენტაცია უახლოეს მომავალში გაიმართება ქალაქ ქუთაისში, მელიტონ ბალანჩივაძის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში და თბილისში - კომპოზიტორთა სახლში.

ანა ქორიძე



ისტორია - მიხეილ ნაკაშიძე

ა.წ.ამქიძის სამეფო ტყე, რომელიც ბალდათს ეკუთვნის, XIX საუკუნის 60-70-იან წლებში კერძო პირებს გადაეცათ სარგებლობაში. ამ ტყეების დიდი ნაწილი ქუთაისის მაშინდელ გენერალ-გუბერნატორის, თავად სვიატოპოლომირსკისა და თავად გრუზინსკის მფლობელობაში გადავიდა. შემდეგ ეს ტყეები საექსპლოატაციოდ იყიდას სომეხმა ბიზნესმენმა ანანოვმა და პროუსიის ხელმძღვანელის ქვეშევრდომმა ვილჰელმ გერმანელმა.

ასევე სამეფო ხაზინის მიერ 90-იან წლებში გაიყიდა ბალდათის ტყეები, რომელსაც 50 ჰა ფართობი უჭირავს და განლაგებულია ძირითად აჭარა-იმერეთის ქედის სამხრეთ ფერდობებზე და მოიცავს მდინარეების, ნაბლარას წყლის, ხანისწყლის, ქერაშეთისა და ლაშურის აუზებს. ბალდათის ტყეები შეიძინა ნაკაშიძეთა გვარის ერთ-ერთმა წარჩინებულმა წარმომადგენელმა, 900-იან წლებში უმდიდრესმა თავადმა, კულტურ-ტრეგერმა, სოფიო დადიანისა და შერვაშიძეების პირდაპირმა მემკვიდრემ, აფხაზეთის უკანასკნელი მთავრისა და ცნობილი პოეტის გიორგი შერვაშიძის დისშვილმა მიხეილ ნაკაშიძემ.

ბალდათის ტყეების შესყიდვის შემდეგ, სატყეოს უფროსად ახალციხიდან ბალდათში ახლადგამოსული ვლადიმერ კონსტანტინეს ძე მაიაკოვსკი აიყვანა და კანცელარიისათვის კონსტანტინე კუჭუხიძის სახლი დაიქირავა (ჟურნალი „ჩვენი მწერლობა“, 2007 წ. 5 იანვარი №1 (27), შორენა ლებანიძე — ნინაპარნი და შთამომავალნი — ნაკაშიძეთა საგა).

ეს ფაქტი დღემდე რატომღაც უცნობი იყო საზოგადოებისთვის. მიზეზი მასში უნდა ვეძიოთ, რომ კომუნისტურ იდეოლოგი-

ას არ სურდა სოციალისტური რევოლუციის პეიზაჟში პოეტი ვლადიმერ მაიაკოვსკი კანცელარისთვის მიერ ნაქირავებ ბინაში დაბადებულიყო. ასეთ ფაქტებს მრავალს ცხვედრით საქართველოს ისტორიაში. მაგალითისთვის მოვიყვანო მხოლოდ ერთს. როდესაც დიდუბის პანთეონში კომუნისტური ელიტის ერთ-ერთ დიდ ჩინოსანს, დავით სარაჯიშვილის საფლავი უნახავს, უთქვამს, რომ ამ კაპიტალისტს აქ რა უნდაო. ამოასაფლავეს და მის მიერ ახლადამენებულ ქაშუეთის ეკლესიაში დაასაფლავეს.

ისტორიკოსი ლევან სანიკიძე კი სახლის ქირაობას ასე აღწერს: „შემოდგომის ერთ დღეს, კონსტანტინე კუჭუხიძის ეზოს ორი ცხენოსანი მოადგა, ერთი ახოვანი, ნაბად-მოხურული, შავწვერულგაშიანი კაცი ვერა და ვერ იცნო კონსტანტინემ, ხოლო მეორე მისი მეზობელი იყო — ეგვიპტი კობაძე, აქაური ტყის მცველი. ეგვიპტი კონსტანტინეს გააცნო ბალდათის სატყეოს უფროსი ვლადიმერ მაიაკოვსკი და თან მოსვლის მიზანსაც აუწყა, სატყეოს კანტორისათვის ბინას დავეძებოთ. კონსტანტინემ ჭიშკარი გააღო და სტუმარი სახლში შეიპატიჟა, ქირაშიც მორიდგნენ და მერე ერთი იმერულად მიიღიხინეს“.

პოეტის ბიოგრაფიიდან გამომდინარე, პოეტის მამას იმ დროისათვის არ შეეძლო სახლის ქირაობა უსახსრობის გამო. ახალციხიდან ახლად გამოსულმა თავი ბალდათის ციხის ნანგრევებს შეაფარეს, ციხეს, რომელიც მეფე სოლომონ პირველმა რუსეთის ჯართან ერთად გენერალ ტოტლებენის სარდლობით 1872 წელს აიღო და განდევნა თურქეთის ჯარი. სწორედ მაშინდელ ბრძოლებზეა ლაპარაკი ეკატერინე მეორის მიერ ვოლტერისადმი გაგზავნილ წერილში. მაიაკოვსკის ოჯახს, ფაქტობრივად, არ შეეძლო დამოუკიდებლად ექირავებინა კუჭუხიძე-

ბის ბინა, რაც თავად ვლადიმერ კონსტანტინეს ძე მაიაკოვსკის ნაამბობიდანაც ირკვევა.

ბევრს გადამთხელი ვგონივარ, ახალციხეში ვარ დაბადებული, მამაჩემი კონსტანტინე ზაპოროჟიედან ყოფილა ჩამოსული. პირველად ქუთაისის გიმნაზიაში ვსწავლობდი, შემდეგ თბილისის რეალურ სასწავლებელში, რომელიც ოჯახის მატერიალური ხელმოკლეობის გამო ვერ დავასრულე. ჩემმა უფროსმა ძმამ მიხეილმა პეტერბურგის სატყეო აკადემია დაამთავრა, მუშაობდა ერევნის მახლობლად ალექსანდრეპოლის სატყეოს უფროსად და მეც იქ დამაწყებინა მუშაობა“.

ბათუმის ბულვარის მომიჯნავე ერთ-ერთი შენობის ფასადზე, წესით გაკრული უნდა იყოს ისტორიული ფაქტის მაუწყებელი აბრა: „აქ, მიხეილ ნაკაშიძის კუთვნილ სახლში, ნოე ჟორდანიამ და მენშევიკური მთავრობის სხვა წევრებმა გაატარეს ემიგრაციამდე დარჩენილი დღეები“.

მწერალ ჭაბუა ამირეჯიბის რომან „გორა მბორგალში“ ვკითხულობთ: „მიხეილს ყველა იცნობდა, ამბობდნენ, ზედუნებულ ბის უმრავლესობა მან მონათლაო, ხოლო რამდენიმე სტუდენტს სტიპენდია დაუნიშნაო. ქველმოქმედი კი იყო, მაგრამ ყაირათიანობაც უყვარდა. ერთხელ თურმე მოურავმა შეატყობინა: გლენებმა ბაღში ნახევარი ფუთი ფორთოხალი ჩამოკრიფეს და ნარინჯის ნერგები მოიპარეს, ხომ არ დავსაღებო? თავადმა უპასუხა: ფორთოხლის ნამღებს გაუჯავრდო, ნერგებისას კი თავი დაანებე, დარგავს ალბათ და საკუთარი ბაღი ექნება“.

მეტად პრინციპული იყო — ჩაი, რომელიც მოსკოვსა და პეტერბურგში იყიდებოდა წარწერით „თავადი ნაკაშიძის ქართული ჩაი“, დამკვეთმა ეტიკეტზე სიტყვა „ქართული“ „რუსული“ ჩანაცვლება მოითხოვა. მიხეილი არ დათანხმდა, არც დამკვეთ-

მა დაიხია უკან. ბოლოს შეთანხმდნენ, ყუთებზე წაენერათ „თავადი ნაკაშიძის ჩაი“. ამავდროულად მიხეილი ფლობდა სახერხ ქარხნებს ბალდათში (ნაჩვენებია კ. პიპინაშვილის კინოფილმში „მაიაკოვსკი იწყებოდა ასე“), სოფელ ხანში, ნაბლარასა და ზეკრის ხეობებში (სწორედ აქ შეხვდა პოეტ ვლადიმერ მაიაკოვსკის მამა მაქსიმ გორკს, რომლის ყურადღება თურმე მაშინ მოუპყრა ნაკაშიძის სახერხი ქარხნის თავზე მოციმციმე ელექტრონათურას), რომელთა საძირკვლების ნარჩენები დღესაც არის.

მენშევიკებისადმი მიხეილ ნაკაშიძის თანდგომის გამო, მიხეილი და მისი მეუღლე სოფიო დადიანი „კლასობრივ მტერთა“ სიაში, წესით საქართველოს გასაბჭოებისთანავე უნდა შეეყვანათ, მაგრამ სამშობლოს წინაშე განეული დახმარება, უფრო ზუსტად, თვითმპყრობელობის დამხობის და მოგვიანებით ხელისუფლების სათავეში მოსული რევოლუციონერების მფარველობა, ფულადი დახმარება დაუფასეს. კონსტანტინეს გადაარჩინო ოზურგეთისა და ბათუმის სასახლეების სასტუმროებში მისა ცხაკაია, შალვა ელიავა, ფილიპე მახარაძე და სხვები ცხოვრობდნენ.

ეს ის ნაკაშიძეა, რომელმაც „ჩინური სასწაული“ მოახდინა საქართველოში. მან პირველმა შემოიტანა ჩვენთან ჩაის კულტურა, შექმნა ვაზის ახალი ჯიშები „ჯანი“, რომელიც „ნაკაშიძის ჯანად“ არის ცნობილი. მანვე დააარსა გურიამი პირველი სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელი. „რომ არა ნაკაშიძეთა გვარის ზნეკეთილობა და კუჭუხიძეთა გვარის სტუმართმოყვარეობა, შეიძლებოდა საქვეყნოდ ცნობილი რუსი პოეტი ვლადიმერ მაიაკოვსკი საქართველოში და კერძოდ ბალდათში არ დაბადებულიყო“.

შუქრი ნაკაშიძე

ტურიზმი

ბარიდან მთაში

სახელმწიფოს ეკონომიკური განვითარებისთვის მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში ტურიზმი პრიორიტეტულ დარგად გამოცხადებული და ასევე საქართველოშიც. ბოლო წლებში ტურისტების ნაკლებობას ჩვენი ქვეყანა ნაღდად არ უჩივის, თუმცა მისი პოტენციალის, კულტურული-ისტორიული საგანძურისა და უნიკალური გეოგრაფიული მდებარეობის გათვალისწინებით, ადვილი შესაძლებელია, საქართველო ერთ-ერთ მონივრულ ტურისტულ ქვეყნად გადაიქცეს. ფაქტია, რომ ჩვენი ქვეყნის მრავალფეროვნება, მისი კუთხეების თვითმყოფადობა სათანადოდ არ არის წარმოდგენილი უცხოურ „ტურისტულ ბაზარზე“. საამისოდ, ცხადია, საჭიროა რეგიონებში ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა და მძლავრი სარეკლამო კამპანიის წარმოება. რაღა შორს წავიდეთ, ჩვენი ბაღდათის ტურისტული პოტენციალის მაგალითად მოყვანაც საკმარისია.



სადავ(ა) არ არის, რომ იმერეთის ამ ულამაზეს კუთხეს, მართლაც დიდი შესაძლებლობა გააჩნია და ბაღდათის მუნიციპალიტეტში ტურიზმის განვითარებისთვის შარშან შესაბამისი სამსახური შეიქმნა - ა. (ა). ი. პ. ბაღდათის ინფორმაციული უზრუნველყოფის, ეთნოკულტურისა და ტურიზმის განვითარების ფონდი; ტურიზმისა და კურორტების განვითარების ცენტრი. ფონდის თანამშრომლებმა ამ ხნის განმავლობაში დიდი სამუშაო გასწიეს. ყოველდღიური რუტინული საქმიანობის პარალელურად ახალი იდეებიც განჩნდა და ფონდის ახალგაზრდა თანამშრომლების - ანა ფხალაძის, დათო ყიფიანისა და გიორგი გვეგშიძის - ინიციატივას, დაეარსებინათ მოლაშქრეთა კლუბი, მუნიციპალიტეტის მამინდელი გამგებლის, ირაკლი გვეგშიძის მხრიდან, დახმარების პირობა მოჰყვა.

ფონდის ხელმძღვანელების დახმარებით, შეიძინეს ლაშქრობისთვის ესოდენ საჭირო ინვენტარი - კარავი, საძილე ტომარა, პარალონი, 2 ზურგჩანთა, ლამის ფანრები, კარაბინი, სამთო ქაშარი, ნიჩაბი, სამთო თოკი, სანვიმარი ლაბადები. „დიდმაღლის“ დამფუძნებლებმა გაიარეს „გიდის მომზადების კურსი“, უსაფრთხოებისა და პირველადი დახმარების ტრენინგები. ასე რომ, ისინი სერტიფიცირებული გიდ-მოლაშქრეები არიან. პირველი ლაშქრობის მოწყობამდე კლუბის წევრებმა სატესტო-საცდელი გასვლები განახორციელეს - დიდმაღალი, ხვამლი, ცხრაჯვარი, ხანი. ხოლო სადებიუტო ლაშქრობა 11-12 ივნისს რაჭაში, ცხრაჯვარზე მოეწყო. 17 ივლისს კი იმერეთის სკაუტთა ორგანიზაციის წევრებსა და მოხალისეებს უმგზავრეს სოფელ ხანში და აჩვენეს ამ მთიანი და ისტორიულად მდიდარი სოფლის ღირსშესანიშნაობები.

ლაშქრობის მოყვარულებს კლუბის მიერ დაგეგმილი გასვლების შესახებ ინფორმაციის მიღება შეუძლიათ კლუბის მ-გვერდზე: CLUB DIDMAGHALI, ან თავად დამფუძნებლებისგან - 598 35 34 73; 597 03 96 69.



ბაღდათის მუნიციპალიტეტის ა.(ა).ი.პ. ინფორმაციის, ეთნოკულტურისა და ტურიზმის განვითარების ფონდი
საქართველო, ბაღდათი, რუსთაველის ქ. №68
ტელ: 595 538 536; 595 452 803
ელ ფოსტა: sainformacioturizmi@gmail.com



სა(ო)რტის გულშემატკივრებს მეტად საინტერესო და დახუნძლული აგვისტო გველოდება. მოგესვენებათ, 5 აგვისტოდან 21 აგვისტოს ჩათვლით, ზაფხულის XXVI ოლიმპიური თამაშები გაიმართება ბრაზილიაში, კერძოდ კი, ულამაზეს და ყველასათვის საოცნებო რიო დე ჟანეიროში. აქვე აღვნიშნავ იმ ფაქტსაც, რომ ეს იქნება სამხრეთ ამერიკის კონტინენტზე გამართული პირველი ოლიმპიური თამაშები. ჩვენი ქვეყანა აღნიშნულ ოლიმპიურ

სპორტი

ოლიმპიური ჯლუბი

პიადაზე 38 სპორტსმენით იქნება წარმოდგენილი, რომლებიც სპორტის 12 სახეობაში იასპარეზებენ. რა თქმა უნდა, ჩვენ სპორტსმენებს არა მხოლოდ ადგილზე გულშემატკივრობა, არამედ, სამშობლოდან მხარდაჭერაც ესაჭიროება. ყოველივედან გამომდინარე, საქართველოს თითქმის ყველა ქალაქში შეიქმნება ე.წ. ოლიმპიური კლუბები, სადაც დიდ ეკრანზე მოეწყობა ოლიმპიური თამაშების ჩვენება. წინასწარ დაანონსდება ქართველი სპორტსმენების სათამაშო განრიგი, მოხდება ადგილობრივი გულშემატკივრის ერთად შეკრება და მსურველ მხარდაჭერა. ყოველივე აღნიშნულის შემდეგ, მხარდასაჭე-

რი ფოტომასალა გადაიგზავნება რიო დე ჟანეიროში ჩვენი ქვეყნის ოლიმპიურ სოფელში, რაც, დამეთანხმებით, სპორტსმენებს მოტივაციას ერთიორად აამაღლებს. ბაღდათის მუნიციპალიტეტის უერთდება ამ შესანიშნავ ნამოწყებას და საქართველოს სხვა ქალაქების დარად, ჩვენთანაც შეიქმნება ოლიმპიური კლუბი, რომელიც ფუნქციონირებას 6 აგვისტოდან დაიწყებს. წარმატებები ვუსურვოთ თითოეულ ქართველ სპორტსმენს და იმედი ვიქონიოთ, რომ ბევრჯერ მოვისმენთ საქართველოს ეროვნულ ჰიმნს.

მინდია კიკნაველიძე

ხარჯაუბილები

ევროპულ ტენდენციებს საქართველოში არ აღიარებენ

არც მთლად ისეთი მწველი გამოდგა ეს ზაფხული, როგორც საფეხბურთო ევროპაში ელოდნენ... ფორმატის ცვლილებამ ევროპის წლებად ჩემპიონატს თავისი კვალი დაატოვა და ის სანახაობა ვეღარ ვნახეთ, რითაც ბებერი კონტინენტის საუკეთესო გუნდებისგან აქამდე ვიყავით განეზღვრებულნი. თვალსაჩინო, დაძაბული, დიდი გუნდების მატჩები ფრანგულ პირველობას არ აკლდა, მაგრამ ბევრიც იყო ისეთი შეხვედრა, ფეხბურთელები საქმეს, ცოტა არ იყოს, ზერელედ რომ ეკიდებოდნენ... ვერც გაამტყუნებ. როცა იცი, რომ ჯგუფში თავმოყრილი ოთხი გუნდიდან სამი შემდეგ ეტაპზე გააგრძელებს ასპარეზობას; როცა იცი, რომ კონკრეტული შეხვედრის ნაგებამ ფლეი-ოფში შედარებით სუსტი მეტოქე გარჯუნს და ამ ყველაფრის უკან მომქანცველი სეზონის ტვირთია, არც ვარსკვლავებზე მოგიბრუნდება ენა და არც მათ გუნდებზე. აშკარად ჩანდა, ჩემპიონის ფავორიტი რამდენიმე გუნდი ჯგუფურ ეტაპზე ძალებს ზოგავდა, რაციონალურად თამაშობდა და არც ტაქტიკური მრავალფეროვნებით გამოირჩეოდა. აგერ, კონტინენტს ჩემპიონად სულაც, ისეთი გუნდი მოეწონა, რომელმაც შვიდი თამაშიდან 90 წუთში მხოლოდ ერთხელ მოიგო, თქმით კი ვერაფერ იტყვიან, უღირსი ჩემპიონია... დღევანდელ ფეხბურთში იმგვარი ზოგადი ტენდენცია წამოვიდა, რომ მეტი აქცენტი საკუთარი კარის მშრალად შენახვაზე კეთდება და წინ რაც გამოვა, გამოვა... უფრო გასაგებად რომ ვთქვათ, გოლის გატანაზე მთავარი ახლა უკვე ბურთის არმილებაა, საქმის ბოლო ნერტილამდე მიყვანა და იქ უკვე შემთხვევითობის იმედად ყოფნა. გავისხენოთ, ფრედ ნათამაშევი ექვსი შეხვედრიდან ორი, პორტუგალიამ დამატებითი დროის ბოლო წუთებზე მოიგო (მათ შორის ფინალში), ერთი პუნალტების სერიით... კიდევ სამი შეხვედრის ქულების ჯამი კი ფერნანდო სანტუსის გუნდისთვის მერვედფინალში მოსახვედრად გამოდგა საკმარისი... აქ, იქნებ 1982 წლის მსოფლიო ჩემპიონატის გახსენებაც ღირდეს. მაშინაც, იტალიის ნაკრებმა ჯგუფური ეტაპის ბარიერი სამი ქულით დაძლია, საბოლოოდ კი მსოფლიო ჩემპიონი გახდა. ისე, უნდა ითქვას, რომ იტალიის 1982 წლის ნაკრები თითქმის მთლიანად ვარსკვლავებით იყო დაკომპლქტებული, ევროპის ახალგაზრდა მწველი ჩემპიონთა შორის კი მსგავსი სტატუსი ვისაც აქვს, ვფიქრობ, შესენება არ

გჭირდებათ. ისიც, ფინალური მატჩისას მოედნის კიდეზე უფრო კამკამებად, ვიდრე მოედანზე... მართალია, თანამედროვეობის ერთ-ერთმა საუკეთესო ფეხბურთელმა ან დამთავრებულ ჩემპიონატზე ერთ-ორჯერ მოედანზეც გაიბრწყინა, მაგრამ, დამეთანხმებით, კრიშტიანო რონალდუს გაცილებით მეტი გაქანების ფეხბურთელად ვიცნობთ, ვიდრე ის ფრანგულ მოედანზე ვნახეთ. „კარნაკელი“ ფეხბურთის გარდა ევროპის ბოლო ჩემპიონატზე რამდენიმე მნიშვნელოვანი მოვლენაც მოხდა და მათგან სანაკრებო ორი ამბავი მსოფლიო ჩემპიონ გერმანიას უკავშირდება: ერთი ისაა, რომ გერმანიის ნაკრებმა, როდენ პარადიქსულიც უნდა იყოს, იტალიელებს ისტორიაში პირველი ოფიციალური მატჩი მოუგო; ხოლო იგივე გერმანიას საფრანგეთთან 1958 წლის აქეთ ასევე პირველად დამარცხდა ოფიციალურ მატჩში... ზოდატაობ, ამ გუნდების შეხვედრები საფეხბურთო კლასიკად ინათლება ხოლმე, მაგრამ წლებს გამოხატვის იყო. გერმანია-საფრანგეთს სანახაობრივი თვალსაზრისით თუ კიდევ არა უშავდა, იტალია-გერმანიას ცალი თვალითაც არ შეხედებოდა - დაძაბულობიდან გამომდინარე ძალიან მძიმე და მონოტონური თამაში გამოდგა. სხვათა შორის, გარკვეული დროში მოულოდნელობათა კატეგორიის შეიძლება სწორედ იტალიის ნაკრები მივაკუთნოთ. შემადგენლობიდან გამომდინარე, ბევრი ანტიონიო კონტეს გუნდს ჩემპიონატის აუტსაიდრეთა შორის განიხილავდა, მაგრამ სკუადრა აძურას შემტევმა და აგრესიულმა ფეხბურთმა ბევრიც ალაფრთოვანა... დატვას ჩვეულება იტალიელებმა საკვირველად უარი თქვეს იმ ფეხბურთზე, რასაც აქამდე თამაშობდნენ... და თუ იტალიელებმა მხოლოდ კატენარიო დაივიწყეს, რითაც ქომაგი შეიმატეს, შთაბეჭდილება შეიქმნა, რომ ზოდატაობ ფეხბურთი დაივიწყა 21-ე საუკუნეში ყველაზე საფეხბურთო ტიტულის მომგებმა ესპანეთმა. აშკარად გამოჩნდა, რომ დელ ბოსკეს გუნდში შემადგენლობის როტაციის დრო დამდგარა, თორემ ესპანური საფეხბურთო ფილოსოფია ბევრისთვის ჯერაც სამაგალითო უნდა იყოს. საინტერესო ამბავი მოხდა ფინალური მატჩის დამთავრების შემდეგ. „სტად დე ფრენსის“ ტაბლოზე ევროპის ჩემპიონატის ორგანიზატორებმა მადლიერება გამოხატეს უეფას ყოფილი პრეზიდენტის მიმულ პლატინის მიმართ, მაგრამ გადამწყვეტ მატჩში ნაგებობა გალიზიანე-

ბული ფრანგი ქომაგისგან სტვენის მეტი ვერაფერი მიიღეს. საფრანგეთმა, ფრად საეჭო ვითარებაში, ევროპის ჩემპიონატის მასპინძლობის უფლება უეფას პრეზიდენტად სწორედ პლატინის არჩევის შემდეგ მიიღო. ორგანიზატორები უეფას ყოფილ შეფს ამიტომ ემადლიერებოდნენ. ისე, პლატინის ფრანგებისგან მადლობა ჩემპიონატის ფორმატის ცვლილებისთვისაც უნდა მიეღო! ფორმატის ცვლილება რომ არა, ვინ იცის, მასპინძლებს ეგებ ფინალამდეც ვერ გაეღწიათ... საყოველთაოდ აღიარებული ყველაზე სუსტი ჯგუფიდან გასვლის შემდეგ, მასპინძლებს ზომიერად ინტენსიური და მეოთხედფინალურ სტადიაზე, არც თუ ძლიერი მეტოქეები ერობოთ. ერთი სიტყვით, ჩემპიონატი შედგა. ევროპის სამეფო ტახტსაც ახალი პატრონი ჰყავს - პორტუგალიის ეროვნული გუნდი. გუნდი, სადაც თავის დროზე ლეგენდარული უესები და ლუიზ ფიგუ თამაშობდნენ, ახლა კი კრიშტიანო რონალდუ, გულზე ხელი დავიდოთ და ვთქვათ - პორტუგალია ერთ დიდ ტიტულს ნამდვილად იმსახურებდა! ... ზემოთ, ორი სიტყვა ევროპის ჩემპიონატზე დანახულ ზოგადი ტენდენციებზე კი ვთქვათ, მაგრამ ვეჭვობთ, საფრანგეთის ნანახი ქართული კლუბებისთვის რამენაირად განმოსადგე იყოს... ჩვენი ისევე ძველი ადგილი იტკუნება და ის იმედიც, რაც საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელებმა შეცვალა უკავშირდება, იმედადვე რჩება... ევროპის ლიგაში მონაწილე სამი ქართული გუნდიდან სარბიელი სამივემ პირველსავე რუნეში დატოვა, დეტალებს აღარ მოვეყვით და მხოლოდ მშრალად ვთქვათ, რომ საქართველოს ჩემპიონატის პრიზიორმა „სამტრედიამ“ აზერბაიჯანულ უსახელო „გაბალასთან“ ორი მატჩის ჯამში 3:6 ნაგო; „ჩიხურამ“, რომელმაც პირველ მატჩში კიმიონოვი „ზიმბრუ“ 1:0 დამარცხა, შინ 2:3 ნაგო და გავარდა; ხოლო გორის „დილა“ შინ სომხურ „შირას“ 1:0 რომ მოუგო, საპასუხო შეხვედრა იმავე ანგარიშით დათმო და მერე პუნალტების სერიაში დამარცხდა... კომენტარი? რა კომენტარი?! ფაქტი ყველაფერზე მეტყველია. ზოგადი დასკვნა? დიდი სისწრაფით უფსკრულსკენ! ვითომ ფეხბურთის განვითარების სახელმწიფო პროგრამა გვიწყველის, რომელსაც ბევრი კითხვის ნიშანი ახლავს? ძალიან მეეჭვება...

კობა ინასარიძე, სპეციალურად „ჩემი გზებისთვის“

ბაღდათის მუნიციპალიტეტის ა.(ა).ი.პ. ინფორმაციის, ეთნოკულტურისა და ტურიზმის განვითარების ფონდი
საქართველო, ბაღდათი, რუსთაველის ქ. №68
ტელ: 595 538 536; 595 452 803
ელ ფოსტა: sainformacioturizmi@gmail.com

რედაქტორი სოსო ჯობორიძე
„ჩემი გზებისთვის“ გუნდი:
ანა ქორიძე, მარიამ ოქროჭელიძე,
ანა ავალიანი, ანეელინა ჭავჭავანიძე,
ანა ფხალაძე

გაზეთი დაკაბადონდა
ი/მ მამუკა ჭოლაძის მიერ
დაიბეჭდა
მ.პ.ს. „კოლორი“